პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 268 (13084) | კვირა, 15 ნოემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- ნოგათი სამშობლოს
- სახალხო კონტროლის მახვილი თვალით
- მსოფლიო ამ დღეებში

გაფართოვდეს სოფლის მეურნეობის მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივა

ბანვლო მინდვრის სამუშაოთა ცხარე დღეებმა, დაცარიელდა ბრიგადების ბანაკები. მთავრდება სასოფლო-სამეურნეო წელი. ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა წლევანდელი სასოფლო-სამეურნეო წელი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნეს. მთლიანად შესრულებულია მარცვლის შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. გაცილებით მეტი, ვიდრე წინა წლებში, მოყვანილი და დამზადებულია შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, კარტოფილი, ბოსტნეული. ეს ახარებს საბჭოთა ხალხს, უნერგავს იმის რწმენას, რომ განსორციელდება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანები.

წლევანდელმა წელმა ერთხელ კიდევ დამაჯერებლად გვიჩვენა, თუ რა დიდია ჩვენი შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის. ვოლგისპირეთის, უკრაინის, ყაზახეთის ბევრმა ოლქმა საშობლოს მიხცა იმდენი პური, რამდენიც წინათ არასოდეს არ მიუცია. სწორი არ იქნებოდა აგვეხსნა ეს მხოლოდ ხელსაყრელი ამინდით. პურისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოქმედთა გაზრდილ ოსტატობას, მინდვრის სამუშაოთა მექანიზაციის მაღალ დონეს, ჯეშირანი ნათესების გაფართოებას, სასუქების გამოყენებას.

ПРАВДА

14 ნოემბრის მოწინავე.

უდავოა, ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები შეიძლება გაცილებით უკეთესი ყოფილიყო, ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მეტი ინტენსიურობით რომ ეწეოდეს წარმოებას. მოწინავე ოლქებშიც კი არის ათობით მეურნეობა, რომლებიც მუშაობაში ვერ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს, ცოტა პროდუქციას აწარმოებენ ჰექტარ ნახნავზე. ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზია წარმოების დაბალი კულტურა, ბრძნული ხალხური გამოცდილების, მეცნიერთა რჩევის უგულებელყოფა. თავს იჩენს ინერციის ძალა, შაბლონი სამეურნეო, ორგანიზაციული და აგროტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში.

დიდი ზიანი მოჰქონდა სოფლის მეურნეობის ზემოდან დაგეგმვის მანკიერ პრაქტიკას. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებისა, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიენიჭოთ უფლება თვითონ დაგეგმონ თავიანთი წარმოება, მათ ხშირად თავს ახვევდნენ ნათესების ისეთ სტრუქტურას, რომელიც არ შეეხებოდა არც სახელმწიფოს ინტერესებს, არც მეურნეობის თავისებურებებს, არც ზონის ბუნებრივ პირობებს. ამის შედეგად ჩვენი ქვეყნის ზოგიერთმა რაიონმა, შეამცირა უხვმოსავლიანი საკვები კულტურის — საშემოდგომო ხორბლის წარმოება. მეტად მცირე უურადღება ექცეოდა ისეთი უძვირფასესი საბურღლე კულტურების თესვა-მოყვანასა და ნათესების გაფართოებას, სასუქების გამოყენებას.

საჭიროა არა სიტყვით, არამედ საქმით მიენიჭოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეტი უფლებანი საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციასა და დაგეგმვაში. ამ საქმეში მხოლოდ სოფლის მშრომელების ფართო მასების, სოფლის სპეციალისტებისა და ნოვატორების აქტიური მონაწილეობით შეიძლება უფრო სრულად გამოვიყენოთ თვითეული მეურნეობის მთელი რეზერვები და შესაძლებლობანი, მოვიპოვოთ საუკეთესო ეკონომიური მაჩვენებლები. ახლა, როდესაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯამებენ სამეურნეო წლის შედეგებს და სახავენ მომავალი წლის პერსპექტივებს, საჭიროა განსაკუთრებით ღრმა ანალიზი გავაკეთოთ თვითეული ბრიგადის, ფერმის, განყოფილების, მთელი მეურნეობის მუშაობის. საჭიროა, რომ ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, ყველა მშრომელს ნათლად ჰქონდეთ წარმოდგენილი, თუ რა ნაკლოვანებანი ჰქონდათ მუშაობაში, რა პრაქტიკული ღონისძიებანი უნდა განახორციელონ წარმატებითი წინსვლისათვის. ამ დიდმნიშვნელოვანი მუშაობის ორგანიზატორები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომუნისტები უნდა იყონ.

კომუნისტურ პარტიას ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია. პარტია ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ მთლიანად დაკმაყოფილოს საზოგადოების მზარდი საჭიროებანი. სასოფლო-სამეურნეო წარმოება ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ყველაზე საარსებო უბანია. და რაც უფრო სწრაფად განვითარდება იგი, მით უფრო გაუმჯობესდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა, უფრო წარმატებით გადაწყდება კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

განუწყვეტლივ იზრდება სახელმწიფოს მოთხოვნილებანი სურსათსა და სოფლის მეურნეობის ნედლეულზე. ეს დაბეჯითებით მოითხოვს დავაჩქაროთ სოფლის მეურნეობის განვითარება, უფრო სწრაფად დავძლიოთ ჩამორჩენა ამა თუ იმ დარგში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახლა მეცხოველეობას. ბევრი ოლქი, მხარე და რესპუბლიკა მთელი რიგი წლების განმავლობაში ვერ ასრულებს პირუტყვის სულადობის გადიდებისა და პროდუქტიულობის ზრდის გეგმებს, სამშობლოს დიდი რაოდენობით აკლებს ხორცს, რძესა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს.

მაგალითად, აზერბაიჯანის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რძის წარმოება ამჟამად არათუ არ გაზრდილა, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნად შემცირდა. მოლდავეთის, საქართველოს, ტაჯიკეთის მეურნეობებმა შარშანდელზე ნაკლები რძე აწარმოეს. წელს შემცირდა მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობა მოსკოვის, კიროვის, როსტოვის, კალუგის, ულიანოვსკის ოლქების ფერმებში.

მეცხოველეობის განვითარების საფუძველია საკვები ბაზა. არ შეიძლება საკვების პრობლემა გადავწყვეტოთ რომელიმე ერთი კულტურის თესვა-მოყვანით. თვითეულ კონკრეტულ ზონაში საეციფიკურად უნდა შეირჩეს კულტურები, რომლებიც უფრო მოსავლიანია ადგილობრივ პირობებში და კარგად ეგუება ამ პირობებს. დროა ბოლო მოვუღოთ აგრეთვე ბუნებრივი საკვები ნყაროების — მდელოებისა და სათიბების უგულებელყოფას, სადაც მინიმალური დანახარჯებით შეგვიძლია მივიღოთ უხვი და იაფი საკვები.

საჭიროა მეცხოველეობის აღმავლობის, საკვები ბაზის განმტკიცების საკითხები დაუყოვნებლივ გადავწყვიტოთ. უკვე ახლა, წლის შედეგების შეჯამებისას, საჭიროა გავითვალისწინოთ მეურნეობის ყველა შესაძლებლობა, განვსაზღვროთ, თუ რა წყაროებით შეიძლება გავადიდოთ საკვების წარმოება მომავალ წელს. გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან თვით სოფლის მშრომელებმა. ყოველმხრივ განვავითაროთ ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივა, მხურვალედ დავუჭიროთ მხარი მათს წინადადებებს საერთო საქმის გაუჯობესებისათვის — აი რა უნდა გახდეს ჩვენი ცხოვრების კანონი.

ყველაზე მეტ წარმატებას იქ აღწევენ, სადაც სწორად არის ორგანიზებული შრომა, სადაც განუხრელად იცავენ საზოგადოებრივი წარმოების განმტკიცებით ადამიანთა მატერიალური დაინტერესების ლენინურ პრინციპს. ვინც უკეთ მუშაობს, მეტ პროდუქციას იძლევა, ზრუნავს მისი მაღალი ხარისხისათვის, მან უკეთესი ანაზღაურებაც უნდა მიიღოს. შრომის მიხედვით ანაზღაურება საბჭოთა ყოფიერების ურყეველ პრინციპია.

სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა მთლიანად დამოკიდებულია საზოგადოებრივი მეურნეობის ნორიოს საბჭოთა მეურნეობაში ბევრი მწველავი დაწინაურდა.

როცა შვიდწლედის მეექვსე წელი იწყებოდა, ფერმის მუშაკმა **სოფიო დელიბაშვილმა** ვალდებულება იკისრა მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ძროხაზე წლის ბოლომდე მიეღო 2.600 კილოგრამი რძე. პირობის გასანაღდებლად ცოტა როდი იმუშავა. მეწველი ძროხის საკვებად მუდამ ეყენებდა თივას, სილოსს, ჭარხალს, კოპტონს. გარდა ამისა, ძროხები დაჯყო სამ ჯგუფად — ცალ-ცალკე მაღალპროდუქტიული, დაბალპროდუქტიული და მშრალი ძროხები. მეწველი ძროხისათვის ზუსტად იცავდა კვების რაციონს. მედოგიერ სასიხარულოა. ს. დელიბაშვილმა თვითეულ ძროხაზე უკვე მიიღო 2.800 კილოგრამი რძე და ამით ვალდებულებას 200 კილოგრამით გადააჭარბა.

ციალა აბრამიშვილს მთელ რაიონში აქებენ. იგი ცნობილია როგორც პირუტყვის საუკეთესო მომვლელი. მისი პირობა იყო წელს თვითეულ ძროხაზე მიეღო 2.500 კილოგრამი რძე. კარგი მუშაობით პირობა ორი თვით ადრე გაახაღდა. ასევე სასახელოდ მუშაობენ **ბაბალე** და **ნინო ცოფურიშვილები.**

დიადი შვიდწლედის მეექვსე წლის მიჯნაზე

ჯილდო—ღირსეულთ

14 ნოემბერს თბილისის რკინიგზელთა სახლში გაიმართა საზეიმო კრება, რომელზეც ამიერკავკასიის მაგისტრალის კოლექტივს გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ეს საპატიო ჯილდო სამი მოძმე რესპუბლიკის რკინიგზელებმა მოიპოვეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის, რასაც მიაღწიეს მიმდინარე წლის მესამე კვარტალში.

კრება გახსნა რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ი. ჟორჟოლაძემ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს, გ. ა. გეგეჭკორს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის სახელით მან მხურვალედ მიესალმა რკინიგზის სახელოვან კოლექტივს დიდი შრომითი გამარჯვება.

ამხ. გეგეჭკორმ თქვა, რომ რკინიგზელებმა მესამე კვარტალში მიაღწიეს ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს ელექტროენერგიის ეკონომიისათვის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრებაში. ამიტომ შეიარჩუნა რკინიგზამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მან მოიპოვა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში.

გაისმა მჭუხარე ტაში, როცა ამხ. გეგეჭკორმ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს გ. ი. ქადაგიძეს გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

საპასუხო სიტყვაში ამხ. ქადაგიძემ რკინიგზის კოლექტივის სახელით დიდი მადლობა უძღვნა პარტიასა და მთავრობას რკინიგზელთა შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვა, რომ მაგისტრალის მშრომელები ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ ახალი წარმატებების მიღწევისათვის სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად.

ბალაჯარის სადგურის სამანევრო დისპეტჩერმა ს. ასადოვმა, ერევნის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირმა გ. არაქელიანმა, სოხუმის ვოგზლის მორიგემ ტ. ანოსოვამ, თბილისის სალოკომოტივო დეპოს მეშინქანდმ დ. ილურიძემ ილაპარაკეს რკინიგზელთა დიდ შრომითს აღმავლობაზე, რომლებიც იბრძვიან კომუნისტური შრომის მაგისტრალის საპატიო წოდებისათვის.

კრებას ესწრებოდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. ა. დოლიძე.

კრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

ახალი ქსოვილები

თბილისის ა.ბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე საწარმოო წლიდან რამდენიმე ახალი ქსოვილის წარმოება აითვისა, მათ შორის საკაბე ქსოვილებისა: „მარეხი", „საკაბე ქსოვილი", „კრეპ-ია", „კრეპ-მზია", „რეპანი", საპერანგე და სასარჩულე ქსოვილებისა და სხვ.

ფაბრიკის კოლექტივი შეუნელებელი ენერგიით იბრძვის საწარმოო პროგრამის განხორციელებისათვის. აქ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის დავალება გადაჭარბებით შესრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 495 ათასი მანეთის ა.ბრეშუმის ქსოვილი. გადაჭარბებით შესრულეს ხამი ა.ბრეშუმის ქსოვილის გამოშვების გეგმაც, დამატებით მოქსოვეს 253 ათასი მეტრი.

მომავალი წლიდან ფაბრიკის კოლექტივი გამოუშვებს საწარმოს დინამაორების მიერ შემუშავებული ახალი სტრუქტურების ქსოვილებს: სასარჩულეს, საპერანგეს, საკაბეს, ტაფტას, ყაკარდულ ქსოვილებს.

ც. სისაური.

გეგმა შესრულდა

როგორც ყვარლის ეთერზეთების ქარხნის დირექტორი ა. შაშულაშვილი გვატყობინებს, საწარმოს კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 31 ოქტომბერს 114,8 პროცენტით შეასრულა და სახელმწიფოს გეგმით გადაჭარბებით რამდენიმე ათეული მანეთის პროდუქცია მისცა.

ენერგეტიკოსთა წარმატება

ა.ბარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მუშაკებმა ათი თვის გეგმა გადამეტებით შეასრულეს და სულ მალე თერთმეტი თვის გეგმის შესრულებასაც უპატაკებენ. ახლა მათ ახალი სოციალისტური ვალდებულება იკისრეს: ერთი თვით ადრე გაახაღდონ ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა და დამატებით გამომუშაონ ასეულ ათასობით კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

ს. ბეჟანიძე,
სოფლელი.

ქედის რაიონი.

1965 წლის ანგარიშში

ახალციხის აკატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა პირველი ნოემბრისათვის უპატაკა სამშობლოს დიატომიტის ამოღების წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულება და ახლა 1965 წლის ანგარიშში იძლევა პროდუქციას.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მიღებულია 14 ათასი მანეთი ეკონომია.

მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითებს იძლევიან ის უბნები, რომლებსაც ე. კეთილაძე, ალ. რაზმაძე და ყ. კობრეიძე ხელმძღვანელობენ.

ჯ. ალავიძე.

დაწინაურებულნი

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ გალდებულებათა განაღდებით გარდაბნის რაიონის ნორიოს საბჭოთა მეურნეობაში ბევრი მწველავი დაწინაურდა.

როცა შვიდწლედის მეექვსე წელი იწყებოდა, ფერმის მუშაკმა **სოფიო დელიბაშვილმა** ვალდებულება იკისრა მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ძროხაზე წლის ბოლომდე მიეღო 2.600 კილოგრამი რძე. ამ ვალდებულებას ეხმიანებოდა ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზრუნვა. ეს ნიშნავს, ეკონომიურად ხარჯავ, ეკონომიურად ვიყენებ ყველაფერს, ეს ნიშნავს, ეკონომიურად ვიყენებ ყველაფერს, ეს ნიშნავს, ეკონომიურად ვიყენებ ყველაფერს.

ეს ასეა, ეს ასეა, ეს ასეა.

ეს ასეა, ეს ასეა, ეს ასეა.

თქვენთვის, მომხმარებელნო

გურჯაანი. (საკ. კორ.). კუსტანაი, ნოვოსიბირსკი, კემეროვო, ბარნაული, ვოლგოგრადი — სად არ მიდის გურჯაანელი კონსერვებით დატვირთული ვაგონები. ქარხანა 32 სხვადასხვა სახის კონსერვს ამზადებს, და მომხმარებელი ყველას იწონებს.

გურჯაანელმა მეკონსერვეებმა სასახელოდ გაანაღდეს წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.200 ათასი პირობითი ქილის ნაცვლად დღეისათვის 5.200 ათასი პირობითი ქილა ხილისა და ბოსტნეულის კონსერვი დაამზადეს. ნეღლეულისა და სხვა მასალების დაზოგვით 52 ათასი მანეთის ეკონომია გასწიეს. ცხრა თვეში სახელმწიფოს 92 ათასი მანეთი მოგება მისცეს.

— წლის ბოლომდე, — განაცხადა ქარხნის დირექტორმა ი. ქრისტესიაშვილმა, — დამატებით ერთი მილიონ პირობით ქილა კონსერვს გამოვუშვებთ.

წარმატებით შრომობენ შვიდწლედის მეექვსე წლის მიჯნაზე, რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის მუსიკალურ-კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის მექანიკის საამქროს ტექნიკური კონტროლის ოსტატს ე. მარიამულს (მარჯანიშვილი, რომელიც მოწინავე ამწყობის ე. ბიბილაშვილის ნახელავს ამოწმებს.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კონსტრუქტორები, გიმომგონებლები და რაციონალიზატორები დიდად ეხმარებიან მშობლიურ საწარმოს არა მარტო მანქანების ახალი ტიპების შექმნაში, არამედ სრულყოფენ შრომის ტექნოლოგიას, ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას და სხვა. მეორე სურათზე თქვენ ხედავთ რაციონალიზატორთა ბრიგადის წევრებს (მარცხნიდან მარჯანიშვილი) 3. ჭანკვეტაძეს, ბრიგადირს ზ. კილაძეს და ჩ. კორონაძეს, რომლებიც განიხილავენ ახალ რაციონალიზატორულ წინადადებას.

4,1 პროცენტით გადააჭარბა 10 თვის სახელმწიფო გეგმას თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის კოლექტივმა. მესამე სურათზე აღბეჭდილია აგტომატური საწონების მწონავები შ. მაისურაძე (მარცხნივ) და თ. გულაშვილი, რომლებიც დღიურ ნორმას 105-110 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. კიკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ურღვევი მეგობრობა

14 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს არგენტინის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47 წლისთავის ზეიმში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან პარტიის თავმჯდომარე ვიქტორიო კოდოვილია (დელეგაციის მეთაური), პოლიტიკური კომისიის წევრი, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ორესტეს გიოლდი და ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ოსკარ არევალო. საუბარში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ვ. გ. კორნიოლოვმა.

ორივე პარტიის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და არგენტინის კომპარტიის გადაწყვეტილება განაგრძონ ბრძოლა მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორივე პარტია კვლავაც ძალ-ღონეს არ დაიშურებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების დეკლარაციისა და განცხადების პრინციპების საფუძველზე. განაგრძობენ მუშაობას ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის ახალი თათბირის მომზადებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და არგენტინის კომპარტიის დელეგაციებმა განაცხადეს, რომ მათს პარტიებს გადაწყვეტილი აქვთ განმტკიცონ არგენტინისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტების დროით გამოცდილი ძმური ურთიერთ მეგობრობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ არგენტინის კომუნისტურ პარტიას უსურვა შემდგომი წარმატებანი მის საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს თავისი ქვეყნის დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალური პროგრესის მიღწევასა და განმტკიცებას. თავის მხრივ ვ. კოდოვილიამ არგენტინის კომუნისტური პარტიის სახელით ყოველივე საუკეთესო უსურვა საბჭოთა კავშირის კომუნისტებსა და მთელ საბჭოთა ხალხს სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, რაც არგენტინის კომუნისტებს მიაჩნიათ საბჭოთა ხალხის დიად ინტერნაციონალურ აქტად.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „**გმირი დედის**" საპატიო წოდება და გადაეცეთ „**გმირი დედის**" ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ალიევას** გული მამედ ყიზის — ბოლნისის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
2. **ალიევას** კიზბიას ალაზ ყიზის — ბოლნისის რაიონის სოფელ მულანლოს კოლმეურნეს.
3. **აროიანს** არფენიკ ამაიაკის ასულს — ახალქალაქის რაიონის კარზახის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას.
4. **გოგოხიას** ეფემია ალექსანდრეს ასულს — დმანისლის, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელი წარჩენ.
5. **გუსეინოვას** იასამან დურსუნ ყიზის — ბოლნისის რაიონის ყარაბულახის საბჭოთა მეურნეობის მუშას.
6. **ძნელაძეს** ფადიმე მამედის ასულს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ჩიკუნეთის კოლმეურნეს.
7. **დიასამიძეს** ასია რსამანის ასულს — აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელ სახალიძეების კოლმეურნეს.
8. **ელბაქიძეს** ცუცა ტიტიკოს ასულს — დიასახლისს, ხაშურის რაიონის სოფელი გვერდისუბანი.
9. **ისაევას** ხაჯა მუსა ყიზის — ბოლნისის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
10. **კაშიას** მარიამ სერგოიონის ასულს — დიასახლისს, ქალაქი ქუთაისი.
11. **კიკვიძეს** თინა ილიას ასულს — ამბროლაურის რაიონის სოფელ გადიმის კოლმეურნეს.
12. **კოკოლაძეს** ხაჯერ ჰუსეინის ასულს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ჩიკუნეთის კოლმეურნეს.
13. **მამედოვას** სადათ სამედ ყიზის — ბოლნისის რაიონის ყარაბულახის საბჭოთა მეურნეობის მუშას.
14. **ოვჩიევას** პარი ბალაჯა ყიზის — ბოლნისის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
15. **პოლეშჩუკს** ალექსანდრა ვიქტორის ასულს — მუშას, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელი ბარმიშა.
16. **საფარიძეს** ფადიმე ხელილა ასულს — აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელ დოლოგანის კოლმეურნეს.
17. **ჩიგავას** თამარ კონსტანტინეს ასულს — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „კატოლის" წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. მიკოიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე
მოსკოვი, კრემლი.
1964 წ. 12 ნოემბერი.

საბ და რ ოგ ორ მიმდინარეობს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება

მიმდინარე სამეურნეო წლის დამთავრებამდე თვენახევარი დარჩა, ამ მცირე დროში დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეებს.

მთელ რიგ რაიონებში ხორცის დამზადების საქმე კარგად მიდის. **დუშეთის** რაიონში სახელმწიფოსათვის ხორცის მოყიდვის წლიური გეგმა 10 ნოემბრისათვის შესრულებული იყო 98,6 პროცენტით, კვერცხისა — 96,1 პროცენტით. **სიჩხერეთში** მეცხოველეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.701 ცენტნერი ხორცი. კიდევ მისაყიდია 250 ცენტნერამდე ხორცი. ამ რაიონში რძის დამზადებაც წლიური გეგმა შესრულებული ია 98,5 პროცენტით, კვერცხისა — 97,6 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის ხორცის მოყიდვაში შედარებით წინ მიდიან **ახალციხის, მცხეთის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, გორის, ხაშურის, ახალქალაქის, ამბროლაურის, ცაგერის, მახარაძის** რაიონები, **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიური ოლქი, **აჭარის** ასს რესპუბლიკა, რომლებსაც ხორცის დამზადების წლიური დავალებანი შესრულებული აქვთ 85-95 პროცენტით.

ნელი ტემპით მიმდინარეობს ხორცის დამზადება **გეგეჭკორის** რაიონში, რომელსაც წლიური დავალება შესრულებული აქვს მხოლოდ 56,7 პროცენტით. **თელავის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, ბოლნისის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, წულუკიძის, ლენინგორის** რაიონებში, **ზუგდიდის რაიონში** — 72,7, **აფხაზეთის** ასს რესპუბლიკაში — 57,9, **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიურ ოლქში — 62 პროცენტით.

ჩვენი მიმოხილვა

ბორის, ხაშურის, ახალქალაქის, ამბროლაურის, ცაგერის, მახარაძის რაიონები, **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიური ოლქი, **აჭარის** ასს რესპუბლიკა, რომლებსაც ხორცის დამზადების წლიური დავალებანი შესრულებული აქვთ 85-95 პროცენტით.

ნელი ტემპით მიმდინარეობს ხორცის დამზადება **გეგეჭკორის** რაიონში, რომელსაც წლიური დავალება შესრულებული აქვს მხოლოდ 56,7 პროცენტით. **თელავის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, ბოლნისის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, წულუკიძის, ლენინგორის** რაიონებში, **ზუგდიდის** რაიონში — 72,8, **საგარეჯოს** — 75,1, **დუშეთის** — 69,9, **გორის**—68,9, **ლენინგორის** — 68,3, **ზუგდიდის** რაიონში — 72,7, **აფხაზეთის** ასს რესპუბლიკაში — 57,9, **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიურ ოლქში — 62 პროცენტით.

აქედან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა. ამოცანა ის არის, რომ ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ ხორცისა და რძის წარმოების გადიდებისათვის და შეასრულონ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალება.

„ცოცხალი საქონლით" მოვაჭრენი

ტოკიო, 14 ნოემბერი. (საკდესი). იაპონის პოლიციამ დააპატიმრა განგსტერთა ჯგუფი, რომელიც ქალაქ მაცუმოტოში იაპონელი ქალიშვილებით ვაჭრობდა. მასაში ოტა, იუტაკა ოგურა და მათი თანამზრახველნი ატყუებდნენ სხვადასხვა ფირმასა და დაწესებულებაში მომუშავე ახალგაზრდა ქალიშვილებს. ისინი ქალიშვილებს პირდებოდნენ, რომ დიდხელფასიან სამუშაოზე მოაწყობდნენ და თითოეულ მათგანს 30 ათას იენად ყიდდნენ ღამის კაბარეებში, ბარებსა და რესტორანებში.

ცოცხალი საქონლით მოვაჭრენი სასამართლოს წინაშე წარადგენიან.

ინციდენტი სირია-ისრაელის საზღვარზე

დამასკო, 14 ნოემბერი. (საკდესი). სირიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა გუშინ გაანცხადა, რომ ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლი დაუშინეს სირიის ტერიტორიას. „ისრაელის პატრულმა ჯავშნოსნებით გადალახა სირიის საზღვარი და ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს", — თქვა ამ წარმომადგენელმა. წარმომადგენლის სიტყვით, ისრაელის არტილერიამ და ავიაციამ ცეცხლი დაუშინეს და დაბომბეს სირიის სოფლები მხილა და აბასია. ამ სასაზღვრო შეტაკების დროს დახოცილია 26 სირიელი.

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). სირიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რაფიკ ელ-ასმამ პრესისათვის განკუთვნილ განცხადებაში აღნიშნა: ის, რომ ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა სროლა აუტეხეს სირიის სოფლებს „წინასწარგანზრახული თავდასხმაო". მან განაცხადა, რომ ეს რეიდი მიზნად ისახავდა მოეწამლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი მე-19 სესიის ატმოსფერო.

კომუნისტი

ჯანსაღი ჯიბრით!

ჭიათურა-სამხედრო კონტროლის ფურცელი №17

ამ გვერდზე წაიკითხავთ:

□ სახალხო კონტროლიორები მეტი და მაღალსარისხოვანი პროდუქციისათვის ბრძოლის ავანგარდში

□ როცა მშრომელთა სიგნალებისადმი უსულგულობას იჩენენ

□ ტექნიკა ელის მზრუნველ ადამიანებს

რედაქციაში საჩივარი მოვიდა

ცილისწამება თუ სიმართლე?

პატივცემულო *რედაქციავ!* მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში განცხადებით მივმართე საქართველოს კპ ზესტაფონის სახოფლო საწარმოო კომიტეტს. ცწერდი სოფელ ნაგარევის კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ჩემი განცხადება სიფუძვლიანად არ შეისწავლეს და ცილისმწამებლად დამსახეს.

გთხოვთ ჩაერიოთ საქმეში, გაარკვიოთ მართალი და მტყუანი.

ი. არეშიძე.

ზესტაფონის რაიონის სოფელ ნაგარევის კოლმეურნეობის წევრი.

◇ ◇

ამბავ დამაფიქრებელი წერილია. და ი მისი შინაარსი ზესტაფონის საწარმო სამმართველოს პარტიულ კომიტეტში გავაცანით. იქ გვითხრეს:

— კოლმეურნე არეშიძის საჩივარი ჩვენთვის ცნობილია. იგი ორჯერ იყო ჩვენთან. ზოგ რამეს დამოკურებლად ლაპარაკობს. მონაკვლევი მასალები პროკურატურას გადაეგზავნა. დაუსტდება, ვინ არის დამნაშავე. თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. ქასრაშვილს რაიმე დაუდასტურდა, მას თავზე ხელს არ გადავუსვამთ...

ის იყო პარტიული კომიტეტიდან გამოვდიოდი, რომ იქვე რაიონის პროკურორის თანაშემწე ა. კაკაურიძე შემხვდა. როცა მან საქმის ვითარება შეიტყო, პირდაპირ თქვა: ი. არეშიძე, როგორც ცილისმწამებელი, პასუხისგებაშია მიცემული...

პროკურატურაში დაწერილებით გავეცანი საჩივრის ისტორიას.

ამბავი ასე დაიწყო. სოფელ ნაგარევის კოლმეურნეობის სანაგარიშო-საარჩევნო კრებაზე კოლმეურნე ი. არეშიძეს უთქვამს: საკოლმეურნეო მოსავალი ნიადგებ, შრომადღის ღირებულება არარაობამდე დავიდა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს ასეთი განცხადება არ მოეწონათ და ი. არეშიძეს ალმაცერად დაუწყეს ცქერა.

ი. არეშიძემ განცხადებით მიმართა ზესტაფონის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტსაც. იგი კოლმეურნეობაში სეროზულ დარღვევებზე მიუთითებდა. საკითხის შესასწავლად ნაგარევში ჩავიდნენ პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორი გ. ვეფოლაშვილი და საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორი გ. მაჩიტიძე, მათ 9 აპრილს პარტიული კომიტეტის მდივნის სახელზე დაწერეს მოხსენებითი ბარათი, რომლის დასკვნაში ვკითხულობთ: „მოქალაქე ი. არეშიძის მიერ პარტიულ კომიტეტში შემოტანილ განცხადებაში აღნიშნული ბრალდებები სოფელ ნაგარევის კოლმეურნეობის მელმძღვანელების მიმართ ცილისმწამებლურია და სინამდვილეს არ შეეფერება“. მოხსენებით ბარათს ადგენ რეზოლუცია: „საქმეში“.

და აი საქმე თითქოს „ყინმით“ მთავრდებოდა, მაგრამ ი. არეშიძეს განცხადებებით მიუმართავს ზემდგომი ორგანოებისათვის. ეს იწყინეს და 9 აგვისტოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ბ. სარალიძემ ი. არეშიძის განცხადება და ნარკვევი მასალები დამატებითი კვლევისათვის რაიონის პროკურორს ლ. გრიგორაშვილს გადაუგზავნა.

პროკურატურას დამატებითი ძიება არ უწარმოებია. არსებულ მასალებს დაეყრდნენ. ყველაფერი ამჯარა ცილისწამებად გამოაცხადეს და 10 აგვისტოს ი. არეშიძის მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. პროკურატურის გამომძიებელმა რ. შუშლაძემ 25 აგვისტოს წარმოებაში მიიღო საქმე.

პირველ ოქტომბრამდე საქმე სელუსტბ ლ ა დ იდო პროკურატურაში. კოლმეურნე ი. არეშიძე, როგორც ცილისმწამებელი, თითქოს უნდა მორიდებოდა პროკურატურას, მაგრამ იგი თითქმის ყოველდღე იქ იყო, დაეინებით მოითხოვდა კოლმეურნეობაში ფინანსური რევიზიის ჩატარებას, საკითხების დაწერილებით შესწავლას. რევიზიის ჩატარებაზე კი რატომღაც თავი შეეკავებინა.

გამომძიებელ რ. შუშლაძესთან ერთად ოქტომბერში ორჯერ მოვიდნენ ნაგარევის კოლმეურნეობაში ჩასვლა და მოსერხდა საჩივარში აღძრული ზოგიერთი საკითხის დაზუსტება-დადგენა.

გასულ წელს კოლმეურნეობამ დაბალი მოსავალი მიიღო. სიმინდის მოსავალმა ჰექტარზე 9,7 ცენტნერი, ხოლო ჩაისამ — 2,4 ცენტნერი შეადგინა. დაბალი იყო მეცხოველეობის პროდუქტიულობაც. 530 ცენტნერი რძის ნაცვლად 365 ცენტნერი მიიღეს და აქედან 89 ცენტნერი ხბორების გამოკვებას მოანდომეს.

კოლმეურნეობაში მხოლოდ პრემია-დანამატის სახით (საგარანტიო ანაზღაურება) შრომადღეზე გაცემულია 1,2 კილოგრამი სიმინდი. ძირითად შრომადღეებზე კი არც ერთი გრამი პროდუქტები და არც ერთი კაპიკი არ განაწილებულა.

შრომადღის ღირებულებას ერთობ აუფასურებს და სიმინდის უთავბოლო განაოვებას ხელს უწყობს კოლმეურნეობაში დანერგილი ერთი არასწორი პრაქტიკა. კოლმეურნეებს სახლში გასაზრდელად ეძლევათ 8-10 კილოგრამიანი ბოკვები. როცა ღორი 80 კილოგრამს მიაღწევს, კოლმეურნე მას ფერმაში აბარებს, ხოლო სამაგიეროდ 500 კილოგრამ სიმინდს იღებს და გარკვეული რაოდენობით შრომადღეები ერიცხება. ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობას ფერმა აქვს. საქმე ის არის, რომ ერთი ბოკვის გამოზრდაში კოლმეურნეს 500 კილოგრამი სიმინდი ღორის ჩაბარების შემდეგ ეძლევა და ფაქტიურად იგი არ ხმარდება ღორის გასუქებას. ეს გაუმართლებელი პრაქტიკა სცემს შრომადღის ღირებულებას, აფერხებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას. ისიც შემჩნეულია, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს გასაზრდელად ორ-ორი ბოკვი მიაყავთ ხოლმე და ჩაბარებისას ყველა მხოლოდ 80 კილოგრამი გამოდის (?!). ეს ეჭვს ბადებს მზრომელებში.

კოლმეურნეობის აგრონომ-ქიმიკოსმა, პარტიულმა მდივანმა შ. ზაქარაშვილმა 1963 წლის 10 მარტს გაყვანილი ორი ბოკვი მიმდინარე წლის თებერვალში ჩაბარა და ერთი ტონა სიმინდი მიიღო. ასევე მოიქცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ქასრაშვილიც. ბევრს კი შარშან წაყვანილი ბოკვები ჯერაც არ ჩაბარებია. ბუხალტერული ჩანაწერებით, რაც აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთობ დაუწყობელია, მარტო გასულ წელს გასაზრდელად გასცეს 55 ბოკვი, აქედან სახელმწიფოს მიაყიდეს 42 სული, რისთვისაც გაიცა 270 ცენტნერი სიმინდი და დაინარჯა 440 შრომადღე.

ღორების გასუქების ასეთ პრაქტიკაზე კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილება მოვითხოვეთ. გვიჩვენეს 1962 წლის 17 აპრილის კრების დადგენილება და გვაჩვენეს კოლმეურნეობიდან ბოკვების გაყვანის ხელმეკრულებებიც. რატომღაც მათ თარიღი არა აქვთ, მაგრამ ჩანს, რომ ისინი გაფორმებულია ფულის ახალი კურსის შემოღებამდე, რაც 1961 წლის დასაწყისიდან განხორციელდა. სწორედ ამაზე იტყვიან, „ტყულის მაკლე ფეხები აქვსო“.

კოლმეურნეობის კანტორაში კოლმეურნე ბ. ხუციშვილმა თავმჯდომარე შ. ქასრაშვილმა, ინჟინერ-ტექნიკოსმა ე. ბერიძემ, ბუღალტერ-ეკონომისტმა ნ. ბერიძემ, ბრიგადირებმა ბ. ბერიძემ, ბ. ბერიძემ, ბ. ბერიძემ,

უცხოეთის ამბები

დღეები და მოვლენები

„ეძვსეული“ ჩიხში

ბრიუსელი, 13 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ კვეან საღამომდე გაგრძელდა ევროპის ეკონომიური გაერთიანების მინისტრების საბჭოს სხდომა. უკვე მესამე დღეა ევროპის ექვსი ქვეყნის მინისტრები ამაოდ ცდილობენ შეთანხმდნენ იმ საქონლის სიის შესახებ, რომელსაც არ განიხილავენ საბაჟო ტარიფების შემცირების მომავალი მოლაპარაკების დროს ჟენევაში საბაჟო ტარიფებისა და ვაჭრობის საკითხთა საერთო შეთანხმების ორგანიზაციის ფარგლებში („კენედის რაუნდი“).

ახლანდელ სესიაზე ამ საქონლის სიის განსაზღვრა მეტად რთული აღმოჩნდა. თუ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა და პოლანდია ცდილობენ, რომ ეს სია, რაც შეიძლება მოკლე იყოს, საფრანგეთსა და იტალიას სურთ მისი გაზრდა.

დიდი უთანხმოება წარმოიშვა აგრეთვე, როცა იხილავდნენ, თუ რა საქონელი უნდა შეიტანონ სიაში. კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა მხარს უჭერს ავტომანქანების საბაჟო გადასახადის შემცირებას. იტალია კი, ცდილობს დაიცვას თავისი საავტომობილო მრეწველობა კონკურენციისაგან ამერიკის შეერთებული შტატების მხრიც და მოითხოვს, რომ ავტომანქანები სიაში შეიტანონ. ბელგიუთანხმოებას იწვევს საკითხი ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის ბაჟის შემცირებაზე.

ხვალ „ექვსეულის“ მინისტრები კვლავ შეიკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სიის შედგენასთან. ეს სია ერთხმად უნდა მიიღოს და საბაჟო ტარიფებისა და ვაჭრობის საკითხთა საერთო შეთანხმების ორგანიზაციის სამდივნოს წარუდგინონ 16 ნოემბრამდე.

ამერიკული თავისუფლების ფეხის ქვეშ

კოლიციელი:

— ეი, მალე ჩამოახრჩეთ, თორემ ბულგარეთისა და უნგრეთში ადამიანის უფლებათა გათელვის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციაზე დაგვაგვიანდება.

კარიკატურა ბულგარელი მხატვრის ალ. ეანდოვისა.

ბოლოკოვის ვიზიტის დადებითი შედეგები

